JSC ÇALIK GEORGIA WIND

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

15/04/2021

წერილის ნომერი : CGW-L-CLK-GEN-229

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ" კასპის და გორის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, კერძოდ კვერნაკის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე გეგმავს 50 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ნიგოზა"-ს ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

დაგეგმილ საქმიანობას საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს შესაბამისად, გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა, რაზედაც მინისტრის 2020 წლის 21 მაისის N2-425 ბრძანების საფუძველზე გაცემულია სკოპინგის დასკვნა N44 (18.05.2020 წელი).

50 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ნიგოზა"-ს ქარის ელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ პროექტის გზშ-ს ანგარიშს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

წერილს თან ერთვის:

- 50 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ნიგოზა"-ს ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- 50 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ნიგოზა"-ს ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- დანართის 1-2 პუნქტში მოცემული დოკუმენტების ელ. ვერსია და პროექტის GIS კოორდინატები shp -ფაილის სახით - 1 CD.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებელი (500 ლარი, სახაზინო კოდი 300773080) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი);
- ამონაწერი სანეწარმეო რეესტრიდან შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ"-ის რეგისტრაციის შესახებ.

პატივისცემით,
მურატ ოზკანი
შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ"-ის პროექტის მენეჯერი

JSC ÇALIK GEORGIA WIND ÇALIK ENERJİ

№ 6967
"19" 04 2021
1/4 FCO

129a Aghmashenebeli Avenue
Tbilisi - Georgia
info@calikgeorgia.com